განკარგულება:**გ-37.372133715**
თარიღი:**03/12/2021**

# განკარგულება N61

3 დეკემბერი 2021 წელი

ქ.ოზურგეთი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.დ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

***გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :***

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის №9 სხდომის ოქმი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას საკრებულოს წევრი დავით ჭაკნელიძე.

**მუხლი 2.** მიღებული განკარგულების თაობაზე ეცნობოს:

1. სსიპ „საჯარო სამსახურის ბიურო“-ს;

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

**მუხლი 3**. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

**მუხლი 4.** ეს განკარგულება ამოქმედდეს 2021 წლის 3 დეკემბრიდან.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი